ქირურგიის N2 დეპარტამენტი

პროფესორი გიორგი გიორგობიანი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შაფათავა

ასოცირებული პროფესორი ზურაბ მანიჭაშვილი



ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ჩინჩალაძე

ქირურგიის N2 დეპარტამენტი

ქირურგიის # 2 დეპარტამენტი სათავეს იღებს 1920 წელს შექმნილი „სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის“ საფაკულტეტო ქირურგიის კათედრიდან, რომელსაც 1920 – 1941 წწ – ში სათავეში ედგა პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი;
1941–1950 წწ. აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი;
1950–1979 წწ. აკადემიკოსი ეგნატე ფიფია;
1984–1994 წწ. პროფესორი აკაკი თელია;
1994 – 2014 წწ. პროფესორი ნოდარ გრიგოლია.
საფაკულტეტო ქირურგიის კათედრა 2006 წლიდან „ურგენტული ქირურგიის მიმართულების“ სახელწოდებით შევიდა ქირურგიის დეპარტამენტის, ხოლო 2009 წელს – ქირურგიის #2 დეპარტამენტის შემადგენლობაში.
2014 წლიდან დღემდე ქირურგიის #2 დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი გიორგი გიორგობიანი.

ქირურგიის # 2 დეპარტამენტი აკადემიურ და პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე დამტკიცებული სილაბუსისა და ნაციონალური და საერთაშორისო გაიდლაინების მიხედვით, – რაც მოიცავს ყველა ტიპის თიაქრების, კისრისა და გულმკერდის ორგანოების დაავადებების, სწორი ნაწლავის პათოლოგიების, მწვავე და ქრონიკული პანკრეატიტების, ელენთის დაავადებების, პორტული ჰიპერტენზიის სინდრომის, ნაწლავთა გაუვალობის, კუჭ–ნაწლავის ტრაქტიდან სისხლდენების, პერიტონიტების, მწვავე მუცლის სინდრომის თანამედროვე დიაგნოსტიკასა და მკურნალობას.
დეპარტამენტის საბაზისო სახელმძღვანელოს ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებისათვის წარმოადგენს პროფ. ნ. გრიგოლიას ავტორობით 2012 წელს გამოცემული „ქირურგიული დაავადებები“.
ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი სტუდენტებისათვის კი –
Schwartz's Priciples of Surgery (2010; 2105) და Хирургические болезни (Кузин 2015) შესაბამისად.
დეპარტამენტის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.
აქტიურად აქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომებს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
დეპარტამენტში შეიქმნა პროტოკოლი „საზარდულის ჩაჭედილი თიაქარის მკურნალობა მოზრდილთა ასაკში“ რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულია, როგორც ნაციონალური პროტოკოლი (www.moh.gov.ge).
პროფ. გიორგი გიორგობიანის მიერ 2014 წელს გამოიცა წიგნი „პანკრეასის სიმსივნეები“.
გიორგი გიორგობიანი 2008 წლიდან დღემდე არის ევროპის ქირურგთა საზოგადოების (ESS) მმართველი საბჭოს წევრი და ნაციონალური დელეგატის რანგში წარმოადგენს საქართველოს ევროპის სამედიცინო სპეციალობათა კავშირის (UEMS) ქირურგიის სექციაში.